<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსის 69^6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 69^6. თბური ტუმბოს, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მომსახურების სფეროში დადგენილი მოთხოვნების დარღვევა

1. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მფლობელი მეწარმე სუბიექტის მიერ არასერტიფიცირებული ტექნიკოსის, ინდივიდუალური მეწარმის ან/და იურიდიული პირის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მომსახურების მიღება –

გამოიწვევს ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მფლობელი მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 1000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მფლობელი მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 2000 ლარით.

3. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების არასერტიფიცირებული ტექნიკოსის, ინდივიდუალური მეწარმის ან/და იურიდიული პირის ანდა მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მომსახურება –

გამოიწვევს არასერტიფიცირებული ტექნიკოსის, ინდივიდუალური მეწარმის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 400 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 1000 ლარით.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს არასერტიფიცირებული ტექნიკოსის, ინდივიდუალური მეწარმის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 800 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 2000 ლარით.“

2. კოდექსის 79^4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 79^4. მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის სფეროში დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან დარღვევა, ან მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერების წარმოება, ან აკრძალული მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებებით ვაჭრობა

1. მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის სანებართვო პირობების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

2. მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი ნებართვის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას თითოეულ კილოგრამ ნივთიერებაზე 150 ლარით, კვოტირებული ოზონდამშლელი ნივთიერების კონფისკაციით.

3. აკრძალული ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი –

გამოიწვევს დაჯარიმებას თითოეულ კილოგრამ ნივთიერებაზე 300 ლარით.
4. მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერების წარმოება –
გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარით.

შენიშვნა:
1. მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის სანებართვო პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას.
2. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების ამ შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ნებართვის გამცემის მიერ განმეორებით დადგენილ ვადაში სანებართვო პირობების შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ცხრამაგი ოდენობით.
3. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისიწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალდამრღვევს ეკისრება ჯარიმა და მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებები (გარდა კვოტირებული ოზონდამშლელი ნივთიერებებისა) ექვემდებარება საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიიდან უკან გატანას სამართალდამრღვევის ხარჯით.

3. ამ კოდექსის 82³ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 82³. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის“ მოთხოვნების დარღვევა
„მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის მოქმედების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების დარღვევა –
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

4. ამ კოდექსის 82⁴ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 82⁴. თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევა ან შეუსრულებლობა
1. მოწყობილობის სამაცივრო სისტემის ჰერმეტულობის დარღვევა, რამაც გამოიწვია 1 კგ-მდე მაცივარაგენტის ჟონვა -

გამოიწვევს გაფრთხილებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარით.

3. მოწყობილობის სამაცივრო სისტემის ჰერმეტულობის დარღვევა, რამაც გამოიწვია 1 კგ და მეტი მაცივარაგენტის ჟონვა -

გამოიწვევს დაჯარიმებას მაცივარაგენტის თითოეულ გაჟონილ გრამზე 0,1 ლარი.

4. გარდა ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის სხვა მოთხოვნათა დარღვევა ან შეუსრულებლობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.
5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.“.

5. კოდექსის 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები
რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43^1–44^3, 445, 44^7–44^{11}, 45-ე–46^4, 48-ე, 49-ე, 50^1, 51-ე–55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2–მე-60, 60^3–61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^6, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1–81-ე, 82^1, 82^2-82^5, 84-ე–86-ე, 87^1–89^3, 91^2, 91^3, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^5, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 152-ე, 152^2, 153-ე, 153^1 და 15^33–153^5 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, 155^6 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 155^7–155^{10}, 156-ე, 157^1–158^1, 159-ე, 159^1, 159^4–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3 და 166-ე–167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^2–171^4 მუხლებით, 171^5 მუხლის პირველი, მე-2, მე-4–მე-6 და მე-8–მე-16 ნაწილებით, 172-ე, 172^4–172^6, 173-ე, 173^4–173^7, 173^9, 173^{12} და 174^1 მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^1 და 175^2 მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177^8, 177^9, 177^{11} და 177^{12} მუხლებით, 177^{13} მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 1791–179^3, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181^1 მუხლის მე-2 ნაწილითა და 182-ე, 183-ე, 187-ე, 187^1, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^3, 196^6, 197^1, 197^2 და 199^1 მუხლებით.

6. კოდექსის 219-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ამ კოდექსის 79^4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 153^7 , 153^8 და 153 ^{10}–153^{12} მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 165-ე მუხლით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით და 194-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით და 129^1, 157-ე, 177^{14} , 191^1 და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.“
3. ამ კოდექსის 79^4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 153^7, 153^8 და 153^{10}–153^{12} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი

პირი ადგილზე განიხილავს ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე ადებს ადმინისტრაციულ სახდელს“

7. კოდექსის 222-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე, 51^2, 51^4–53^2, 54-ე, 54^1, 55^1, 55^4, 56-ე და 57^1 მუხლებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1, 58^3, 59-ე, 59^3, მე-60, 60^3, 61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4–69^5, 71-ე, 71^1, 72^1–77-ე, 78-ე და 79^1–79^3 მუხლებით, 79^4 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 ნაწილებით, 79^5 - 79^6 მუხლებით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79^7, 79^8 და 82^1–82^4 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლით (გარდა 86-ე მუხლის მე-10 და მე-11 ნაწილებისა), 87^1–87^3 და 89-ე–89^3 მუხლებით, 91^3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103^1 და 128^2–128^5 მუხლებით და 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.“

8. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51 , 51 –53 , 54-ე, 54 , 55 , 55 , 56-ე და 57 მუხლებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1–59-ე, 59^3 , მე-60, 60^3 , 61^1 , 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4–69^6 , 71-ე, 71^1 , 72^1 –77-ე, 78-ე და 79^1–79^3 მუხლებით, 79^4 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 ნაწილებით, 79^5 - 79^6 მუხლებით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში) 79^7 , 79^8 და 82^1–82^4 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–86-ე, 87^1–87^3 და 89-ე–89^3 მუხლებით, 91^3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103^1 , 104-ე და 128^2 –128^5 მუხლებით და 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები“

9. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-19 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

19. ამ კოდექსის 79^4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91^2 მუხლით, 91^3 მუხლის პირველი ნაწილით, 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153^1, 153^5, 155^1–155^3, 155^5 და 155^6 მუხლებით, 155^7 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 155^9, 155^{10}, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164^4, 165-ე–165^3, 171^5, 178-ე, 179^3, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.“

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოში მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირების ვალდებულება 2018 წლიდან შევიდა ძალაში და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის განისაზღვრა შესაბამისი სანქციები. აღსრულების პროცესში გამოვლინდა, რომ დადგენილი სანქციები არ არის პროპორციული და ეფექტიანი შესაბამისად, კანონპროექტითა გათვალისწინებულია სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების სექტორში დანერგილი სერტიფიცირების მოთხოვნების დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციების გაზრდა.

გარდა ამისა, საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად 2014 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტის სანებართვო სისტემა. შესაბამისად, კოდექსით განსაზღვრულია სანქციები აღნიშნული სისტემის მოთხოვნების დარღვევისთვის. ბოლო წლებში მაცივარაგენტების ფასისა და მათი ნარჩენების განადგურების ხარჯის ზრდის შედეგად დადგენილი სანქციები ვეღარ უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი სანქცირების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს პროპორციულობისა და ეფექტიანობის შესახებ. შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებს ამ კუთხით არსებული სანქციების ზრდას და დაზუსტებას იმგვარად, რომ მან უზრუნველყოს ერთის მხრივ უნებართვო, აკრძალული ან/და ფალსიფიცირებული ნივთიერებების იმპორტი, ხოლო მეორეს მხრივ ასეთი ნივთიერებების ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის შემთხევაში დაფაროს მათი შემდგომი განადგურების ხარჯები.

საერთაშორისო ვალდებულებების უფრო ეფექტიანად აღსრულებისა და გარემოსათვის სახიფათო ნივთიერებების უკეთ რეგულირების მიზნით იგეგმება მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა. კანონპროექტის თანახმადა მოდება სანქციის განსაზღვრა აღნიშნული ელექტრონული სისტემის მოქმედების წესის დარღვევისთვის.

ოზონის შრისთვის საშიში და გლობალური დათბობის მაღალი პოტენციალის მქონე ნივთიერებების ატმოსფეროში მოხვედრის პრევენციის მიზნით იგეგმება მსხვილი სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების სისტემების მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაწესება (მათ შორის მაცივარაგენტების ჟონვაზე შემოწმება). კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის თვის საქნციები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების ატმოსფეროში მოხვედრის პრევენციისა და „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის“ ფარგლებში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით დაგეგმილია რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების აღსრულება შეუძლებელია იქნება შესაბამისის პროპორციული და ეფექტიანი სანქცირების სისტემის გარეშე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, უკეთ მოხდება უნებართვო, აკრძალული ან/და ფალსიფიცირებული ნივთიერებების (მაცივარაგენტების) იმპორტის პრევენცია.

ასევე, სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების სექტორში შემცირდება არასერტიფიცირებული მომსახურების მიღების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს ერთის მხრივ გარემოსათვის სახიფათო ნივთიერებების ატმოსფეროში მოხვედრის პრევენციას, ხოლო მეორეს მხრივ სექტორში მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაზრდას.

კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირებას და სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების სექტორში გარემოსდაცვითი მოთხოვნების უკეთ დაცვას. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყანაში მაცივარაგენტების მართვისა და აღრიცხვის სისტემას და შეამცირებს ოზონის შრისათვის სახიფათო და მაღალი გლობალური დათბობის პოტენციალის მქონე ნივთიერებების გაჟონვის ფაქტებს, რაც დადებითად იმოქმედებს, როგორც გარემოს მდგომარეობაზე, ისე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონი შედგება ორი მუხლისგან. პირველი მუხლი განსაზღვრავს ძირითად შინაარსობრივ ცვლილებებს, რაც სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების სექტორში არსებული სერტიფიცირების მოთხოვნების, ასევე მაცივარაგენტების იმპორტ-ექსპორტის სანებართვო სისტემის მოთხოვნების, მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის მოქმედების წესის და მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევებისთვის ითვალისწინებს სანქციების გაზრდას ან შემოღებას. მეორე მუხლი ადგენს კანონპროექტის მუხლების ამოქმედების ვადას (2023 წლის 1 მარტი).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი კავშირშია საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამასთან. კერძოდ, 3.7 ქვეთავის „ქიმიური ნივთიერებების მართვა“ ამოცანა 10.4 „ეროვნულ დონეზე ოზონდამშლელი ნივთიერებების და სხვა მაცივარაგენტების მართვის სისტემის გაუმჯობესება“.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლის ვადის განსაზღვრის უმთავრესი პრინციპი არის საერთაშორისო ვალდებულებით განსაზღვრული ვადა. კერძოდ, მონრეალის ოქმის კიგალის ცვლილებით დადგენილი 90 დღიანი ვადა, რაც გულისხმობს ცვლილების რატიფიკაციის შემდეგ ამ ვადის გასვლისთვის ქვეყანაში ცვლილებით კონტროლირებადი ნივთიერებებისთვის სანებართვო სისტემის არსებობის ვალდებულებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

კანონპროექტით გათვალისწინებულია მაცივარაგენტების იმპორტ-ექსპორტის სანებართვო სისტემის მოთხოვნების, მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის მოქმედების წესის და მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევებისთვის ითვალისწინებს სანქციების გაზრდა ან ახალი სანქციის შემოღება, რაც სავარაუდოდ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გაზრდის სახელმწიფოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტით გათვალიწინებული ახალი რეგულაციების აღსრულება იგეგმება არსებული ადამიანური რესურსების ფარგლებში და იგი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას იმ პირების მიმართ, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით განახორციელებენ მონრეალის ოქმით რეგულირებული ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტს, რაც გაზრდილი ჯარიმის გადახდაში გამოიხატება.

გაზრდილ ჯარიმებს გადაიხდიან ის პირებიც, რომლებიც სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების სექტორში იღებენ ან აწვდიან არასერტიფიცირებულ მომსახურებას. სანქციები გავრცელდება ამავე სექტორში მოქმედი პირებისთვის, რომლებიც დაარღვევენ მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის მოქმედების წესს და მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გააუმჯობესებს ბავშვების უფლებრივ მდგომარეობას იცხოვრონ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართული იყო გაეროს განვითარების პროგრამა, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკისა და ჰაერის კონდიციონერების ინჟინერთა ასოციაცია.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო